

საქართველოს კანონი

„ვეტერინარიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“

მუხლი 1. „ვეტერინარიის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, №27-30, 1994-1995, მუხ. 635) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-19 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 19. კერძო ვეტერინარული სამსახურის მოვალეობანი
კერძო ვეტერინარულ სამსახურს ევალება:

ა) ცხოველების ინფექციური, მასობრივი გადამდები ან არაგადამდები სნეულებების გახენის შემთხვევები დაუყოვნებლივ აცნობოს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს;

ბ) აწარმოოს ვეტერინარული საქმიანობის სტატისტიკური აღრიცხვა და ამის თაობაზე მიაწოდოს პერიოდული ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს;

გ) წარუდგინოს ინფორმაცია გამოყენებული ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების დასახელების, ვარგისიანობის ვადის, კონტროლისა და სერიის მითითებით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს;

დ) თავისი საქმიანობის განხორციელებისას დაიცვას საქართველოს ვეტერინარულ-სანიტარიული კოდექსითა და ვეტერინარიის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები.“

2. 24-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოში წარმოებული და იმპორტირებული ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების (საშუალებების) სახელმწიფო რეგისტრაციას, ხელახალ რეგისტრაციას ან რეგისტრაციის გაუქმებასა და ხარისხის/უხაფრთხოების კონტროლს ასრციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სახელმწიფო საქვეთვანო დაწესებულების – სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის მეშვეობით.“

3. 42-ე მუხლის პირველი პუნქტი და მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2. კანონის ამოქმედება

1. ეს კანონი, გარდა 19-ე მუხლის, 42-ე მუხლის პირველი პუნქტისა და მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 90-ე დღეს.

2. ამ კანონის 19-ე მუხლის, 42-ე მუხლის პირველი პუნქტის და მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი